ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3907332

ნომერი: AR1590133

თარიღი : 01.04.2018

გაცემის თარიღი : 11.04.2018

გაცნობის თარიღი : 11.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით თავხელიძე , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა შაყულაშვილი პ/ნ 01008054257
- თბილისი დ. ბაგები ი.უჩანეიშვილის IV გას. N 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

1.საჭიროა შშმ პირებისთვის განკუთვნილი ამწის მოწყობა განხორციელდეს "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე ქ. თბილისის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილების" გათვალისწინებით. ამწის მოწყობა უნდა განხორციელდეს აღნიშნული დადგენილების 7-ე მუხლში დაფიქსირებული ნორმების დაცვით, მათ შორის:
-ვერტიკალურ, დაქანებულ ან კიბის მარშის გასწვრივ გადაადგილებადი ბაქნისებური ამწეების გამოყენებისას, ბაქნის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 0,90 მ-ისა, სიმაღლე კი არანაკლებ 1,2 მ-ის.
-ლიფტის წინ სამოძრაო არე უნდა იყოს საშუალოდ 1,5 X 1,5 მეტრი ფართისა.
-მოძრაობაში მომყვანი ღილაკები უნდა მდებარეობდეს იატაკიდან- 0,85 მეტრის სიმაღლეზე.
2.საჭიროა წარმოდგენილ იქნას აღნიშნული ამწის ტექნოლოგიური პასპორტი, შესაბამისი თანდართული ნახაზებით.
3. დამატებით წარმოადგინეთ დღეის მდოგმარეობით გადაღებული, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათბი თარიღის მითითებით. თვვენ მიერ ამ ეტაპზე წარმოდგენილია კიბის საპირისპირო მხარე, რომელზეც არ იგეგმება სამუშაოების განხორციელება.

4. წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო არიალის ზუსტი მონიშვნით. გაბარიტული ზომების მითითებით.

5. საჭიროა წარმოადგინოთ კონკრეტული სარეკონსტრუქციო ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე საჭიროა წარმოადგინოთ სათანადო წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა), ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ " საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის თანახმად, კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3–ს (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს საპროექტო დოკუმენტაცია, კერძოდ: განმარტებით ბარათში დეტალურად დაფიქსირდეს ინფორმაცია ჩასატარებელ ყველა სამუაოსთან დაკავშირებით, დაფიქსირდეს მწარმოებლის დასახელება. ასევე დაკორექტირდეს საპროექტო ფოტომონტაჟი, ყველა ჩასატარებელი სამუშაოების ასახვითა და დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge